F2675/13429

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

წლიწადი პირველი.

ცალკე ნომერი 3 კ.

ტფილისი, სამშაბათი 20 ივნისი 1906 წ.

# ახალი ცხოვრება

ტფილისი, სამშაბათი 20 ივნისი 1906 წ.

№ 1. ყოველ დღიური გაზეთი № 1.

პირველ ივლისიდან მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ გაზეთ

## „ახალ ცხოვრებაზე“.

**გაზეთი ეღირება:**

**ტფილისში:** წლიურათ—5 მ., ექვსი თვით—2 მ. 50 კ., თვიურათ—50 კ.
**ქალაქს გარეთ:** წლიურათ 6 მან. ექვსი თვით 3 მ., თვიურათ—60 კ.

**ცალკე ნომერი ყველგან 3 კაპ.**

ვინც გაზეთს წლის ბოლომდი გამოიწერს იმას გაზეთი 20 ივნისიდან 1 ივლისამდე უფასოთ დაეთმობა.

რედაქციის ადრესი: სემიონოვის ქუჩა № 4.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „Ахали Цховреба“

### რა ვაკეთოთ?

ბობოქრობს ცხოვრება იზრდება და მატულობს რევოლიუციის მამოძრავებელი ძალები.

გაძლიერებული ეკონომიური კრიზისი უფრო და უფრო ძლიერდება და ათი ათასობით მუშას ისვრის ფაბრიკა ზავოდებიდან.

სოფლის ამაფორიაქებელი სიმშილობა, რომელმაც შარშან 26 გუბერნია მოიცვა, ცეცხლის ალივით ედება თვალ-უწვდენელ რუსეთს და ულუკმა პუროთა სტოვებს მრავალ-ტანჯულ გლეხ-კაცობას.

ღრმავდება და ფართოვდება მუშებისა და გლეხების მღელვარება, ფხიზლდება და წელში იმართება დამცირებული სალდათობა, ახალ-ახალი წრეები იკრიბება რევოლიუციის დროშის ქვეშ, და შორს აღარაა ის დრო, როცა ხალხის რევოლიუციონური მღელვარება მრისხანე ნიაღვრათ გადმოხეთქავს: ფაქტები გვეუბნება, რომ ცხოვრებაში ახალი გალაშქრება მზადდება, უფრო დიდი და ღონიერი, ვიდრე დეკემბრის გალაშქრება—ჩვენ აჯანყების წინა დღეებში ვიმყოფებით.

მეორე მხრივ, სულს იდგამს და თანდა-თან ფესს იმაგრებს ხალხისაგან მოძულებული კონტრ-რევოლიუცია. მან უკვე მოასწრო კამარილას მოწყობა, ის თავის გარშემო იკრებს მემამულეებსა და ფაბრიკანტებს, თავისი ბაირაღის ქვეშ უწოდებს ყველა ბნელ ძალებს, სათავეში უდგება შავრაზმელების „მოძრაობას“, ის ახალ თავდასხმას აწყობს ხალხის რევოლიუციაზე და ასე, დიდი „ზარითა და ზეიმით“ ემზადება რევოლიუციის დასამხობათ.

და რაც უფრო დრო მიდის, მით უფრო ცხადათ იყოფა ქვეყანა ორ მოწინაღმდეგე ბანაკათ: ბანაკათ რევოლიუციის და ბანაკათ კონტრ-რევოლიუციისა: მით უფრო მრისხანეთ უპირდაპირდება ერთმანეთს ორი ბანაკის ორი მეთაური—პროლეტარიატი და ძველი მთავრობა—და მით უფრო ნათლათ ირკვევა, რომ მათ შორის ჩატეხილია ყოველივე ხიდი. ორში ერთი: ან რევოლიუციის გამარჯვება და ხალხის თვითმპყრობელობა, ან კონტრრევოლიუციის გამარჯვება და ძველი თვითმპყრობელობა! ვინც ორ სკამ შუა ჯდება, ის რევოლიუციას ღალატობს, ვინც ჩვენსკენ არაა, ის ჩვენს წინააღმდეგაა!

ერპოფი სათათბირო მისი ორპოფი კადეტებით სწორეთ ამ ორ სკამ შუაა გაჩხირული. მას უნდა ცოტა რამ უფლებები შეუზღუდოს თვითმპყრობელობას, მაგრამ იმ პირობით, რომ ფრთები შეაკვეცოს და ძირი გამოუთხაროს ხალხის რევოლიუციას; ის ოპოზიციაში უდგია თვითმპყრობელობას, მაგრამ, ამავე დროს, უფრო დიდ ოპოზიციაში უდგე ბა ხალხის რევოლიუციას, ფეხქვეშ სთელავს ხალხის რევოლიუციონურ მოთხოვნებს, როგორიცაა, მაგალითათ, გლეხების მიერ მიწების ჩამორთმევა, პირზე კლიტეს ადებს „მუშათა ჯგუფის“ წევრებს, სამასხაროთ იღებს გლეხთა დეპუტატებს და ასე, ორ ბინაკ შუა გაჩერებული. ცდილობს რევოლიუცია და კონტრ-რევოლიუცია შეარიგოს, თხა და მგელი ერთათ აძოვოს და... „ერთი დაკვრით“ ჩაახშოს რევოლიუციის ქარიშხალი. ამიტომ არის, რომ დღემდის სათათბირომ წყლის ნაყვის მეტი ვერა გააკეთა-რა, ამიტომ არის, რომ ის ვერავითარ პოლიტიკურ ცენტრათ ვერ გადაიქცა, ვერავითარი ხალხი ვერ შემოიკრიბა თავის გარშემო და იძულებულია უნიადაგოთ იტრიალოს ჰაერში. ცხადია ბრძოლის უმთავრეს ასპარეზათ ისევ ქუჩა რჩება.

და აი, ცხოვრება გვეუბნება, რომ ამ ქუჩის ბრძოლაში, გადამჭრელ ბრძოლაში, კონტრ-რევოლიუციის ძალები დღითი-დღე სუსტდება და იშლება, მაშინ როდესაც რევოლიუციის ძალები დაუდგრომლათ იზრდება და რაზმებათ ეწყობა, რომ რევოლიუციის ძალთა შემოკრება და მათი რაზმებათ დაწყობა მოწინავე მუშების მეთაურობით ხდება, და არა ბურჟუაზიის, (გაიხსენეთ ოქტომბერ-დეკემბრის ამბები)—ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღევანდელი რევოლიუციის გამარჯვება და მისი ბოლომდე მიყვანა შესაძლებელი ყოფილა; მაგრამ შესაძლებელი ყოფილა მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ მის მეთაურათ შემდეგშიაც მოწინავე მუშები (სოციალდემოკრატები) გამოვლენ, თუ შეგნებული პროლეტარიატი ღირსეულათ შეასრულებს რევოლიუციის ხელმძღვანელობას.

ამას ამბობს ცხოვრება.

აქედან თავისთავათ ცხადია, თუ რა უნდა ვაკეთოთ ჩვენ.

ენგელსი ამბობდა, რომ პარტია „შეგნებული გამომხატველი უნდა იყვეს შეუგნებელი პროცესისო“, ე. ი. მან შეგნებულათ უნდა გამოსთქვას ის აზრები, რომლებსაც შეუგნებლათ იძახის ამობოქრებული ცხოვრება.

ცხოვრება ამბობს, რომ ხალხის რევოლიუცია არ ჩამქრალა, რომ ის, პირიქით, უფრო ცხოველდება, მაღლა და მაღლა იწევს და ახალი გალაშქრებისკენ მიექანება,—მაშასადამე ჩვენი ვალია შეგნებულათ ვემზადოთ ამ გალაშქრებისთვის, ბოლომდე მივიყვანოთ რევოლიუცია და ხალხის თვითმპყრობელობით დავაგვირგვინოთ ხალხის თავგანწირული ბრძოლა.

ცხოვრება ამბობს, რომ რევოლიუციისა და კონტრ-რევოლიუციის შერიგება შეუძლებელია, რომ სახელმწიფო სათათბირო, რომელიც თაობითვე მათი შერიგების გზას დაადგა, წყლის ნაყვის მეტს ვერაფერს გააკეთებს, რომ ისტორიკულად ოპოზიციონური სათათბირო. რომელიც დაუდგრომლათ ებრძვის „მუშათა“ და „მშრომელთა“ რევოლიუციონურ ჯგუფებს, ვერას დროს ვერ გადაიქცევა ქვეყნის პოლიტიკურ ცენტრათ. ვერავითარ რევოლიუციონურ ხალხს ვერ შემოიკრებს, და იძულებული გახდება რეაქციის სათავეელათ გადაიქცეს,—მაშასადამე ჩვენი ვალია გავყანტოთ კადეტურ სათათბიროზე დამყარებული ცრუ იმედები, ხელ-აღებით შევებრძოლოთ ხალხის პოლიტიკურ ცრუმორწმუნოებას, ენერგიულათ მოუწოდოთ მუშებსა და გლეხებს, რომ „მუშათა“ და „მშრომელთა“ ჯგუფების გარშემო მოიყარონ თავი და ხმამაღლა ვაღიაროთ რომ, რევოლიუციის მთავარი ასპარეზი ქუჩაა, და არა სათათბირო, რომ ხალხის გამარჯვება, უმთავრესათ, ქუჩიდან უნდა დაიბადოს ქუჩაში ბრძოლით. და არა სათათბიროდან სათათბიროში „მოღვაწეობით“.

დასასრულ, ცხოვრება ამბობს, რომ რევოლიუციის გამარჯვება, მისი ბოლომდე მიყვანა და ხალხის თვითმპყრობელობის დამყარება შესაძლებელია მხოლოთ შემთხვევაში, თუ რევოლიუციის მეთაურათ შეგნებული მუშები გამოვლენ, თუ რევოლიუციის ბელადობა სოციალდემოკრატიას ექნება, და არა ბურჟუაზიულ დემოკრატიას,—მაშასადამე ჩვენი ვალია სამარე გაუთხაროთ ბურჟუაზიულ დემოკრატების მეთაურობას, გარშემო შემოვიკრიბოთ სოფლისა და ქალაქის რევოლიუციონური ელემენტები, სათავეში ჩაუდგეთ მათ რევოლიუციონურ ბრძოლას, დღეიდანვე უხელმძღვანელოთ მათ ყოველდღიურ გალაშქრებას, და ამ გვარათ, ფაქტიურათ გაუმაგროთ ნიადაგი იმ პროლეტარულ მეთაურობას, რომელიც საკუთარ ფეხზე დააყენებს, და დამოუკიდებელ ძალათ გადააქცევს მებრძოლ პროლეტარიატს.

აი რა გვინდა ჩვენ, აი რა უნდა ვაკეთოთ ჩვენ.

კობა.

### სადღეისო კითხვები.

—

#### „მშვიდობ თ სპანო ჯილოსანნო“

ილაჯ-გაწყვეტილი, დაჭანცული და სისხლ-შემხმარი მეფის მთავრობა ფერმიხდილი დგას სამარის პირას და შიშმორეული თვალებით აქეთ-იქით იცქირება. ის ამჟამათ ნახევრათ უძლურია და კარგათ გრძნობს თავის უძლურებას. ვისაც ჩემი ახალგაზრდობა არ უნახავს, სიბერე ნუ ანახოსო, ფიქრობს ხალხის სისხლით ლოთობის ვან გამოფხიზლებული მტარვალთა ბრბო და ცდილობს თვალი აარიდოს იმ საშინელ სურათს, რომელიც მის წინ გადაშლილა. ეს სურათი კი მართლაც რომ საშინელია მისთვის: მთელი რუსეთი კიდით კიდემდე შფოთავს და გრგვინავს. ვიტტე-დურნოვოს მიერ დანთხეულ სისხლს ჯერ კიდევ ორთქლი ასდის, მარა ცრემლები გამშრალია. აღარც ტანჯვის კვნესა-გოდება მოისმის და რუსეთის ხალხის სახე, რომელზედაც გუშინ შიში და სასოწარკვეთილება გამოიხატებოდა, დღეს ვაჟკაცურათ, მამაცათ და მრისხანეთ უცქერის თავის ჯალათს.

— მიწა და თავისუფლება!

გაიძახის ერთხმათ 90 მილიონი გლეხობა.

— ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

გრგვინავს პროლეტარიატი და რევოლიუციის ამ ორი გმირის მკვეთრი ხმა ღვთის რისხვასავით აძრწოლებს მთავრობას.

გველსავით იკლაკნებიან ჯალათები და ულონო ბრაზით შეპყრობილნი ვედრების თვალით შეყურებენ თავიანთ ბჯეს, ერთათ ერთ იმედს, „ქრისტეს მოყვარე, ძლევა-მოსილ მხედრობას“.

მარა, ვაი საშინელებავ! აქ მათ თვალ წინ კიდევ უფრო საშინელი, უკანასკნელ სასოს გამქრობი სურათი მოჩანს: „დიდებული ჯარი“ სპასალარს აღარ ემორჩილება და, ვითომდა შინაური მტრის, ხალხის წინააღმდეგ მიშვერილი თოფზარბაზანი რაღაც მანქანებით ნამდვილ შინაურ მტრის, მთავრობისაკენ იბრუნებს პირს.

ჯარი ღელავს პეტერბურგში, ღელავსმოს კოვში, პოლტავაში, კურსკში, როსტოვში, ბათუმში, კავკავში, ტფილისში; ჯარის კაცები მიტინგებს და კრებებს მართავენ, მთავრობის გულის მოსაკლავ რეზოლიუციებს ადგენენ და ხალხს ერთგულებას და ნდობას უცხადებენ.

გაქრა, წავიდა ძლიერება! ტკბილი წარსული მწარე აწმყოს უთმობს ადგილს და შეშფოთებული მთავრობა ვედრებით მიმართავს თავის ოდესღაც ერთგულ მხედრობას:

— მაშ შენცა, ბრუტოს?!

— დიახ, მეც—უპასუხა თვალ-ახილული ჯარის კაცი—შენ გააქრე ჩემში

ადამიანური გრძნობა, ძმის სისხლში გამასვრიე ხელები, მოძმეებზე დამაგეშე, გამამხეცე! მაშ მოდი, თითონ გამოსცადე, თუ რა ყოფილა გამხეცებული ადამიანი.

რაღა დარჩენია მთავრობას? მხოლოთ ის რომ გულ-ამოსკვნით გაიმეოროს ოტელოს სიტყვები:

„მშვიდობით, სპანო ჯილოსნნო, დიდრო ბრძოლანო!"

**„წახვალ—ინანებ, არ წახვალ მაინც ინანებ".**

გორემიკინის სამინისტრომ იარა, იარა და ისეთ გზას მიადგა, რომელსაც აწერია: წახვალ ინანებ, არ წახვალ - მაინც ინანებ.

ბ. მინისტრები, როგორც შრომის კორესპონდენტ **იუწყება, წავიდენ**.

ასე რომ „მაინც ინანებენ"...

როცა პროლეტარიატი და გლეხობა პირის-პირ შეეყარენ მთავრობას და ხალხსა და თვითმპყრობელობას შორის ურთიერთობა უკიდურესათ გამწვავდა, როცა რევოლიუციის ზვირთები გადარეცხვას დაუპირებენ ძველი წყობილების ამყრალებულ ლეშს, გამოდის მუდამ ორპირი, მუდამ ორპირი და მუხანათი ლიბერალურ ბურჟუაზია კადეტების სახით და ხალხის ზურგს უკან ვაჭრობას იწყებს მეფის მთავრობასთან. „რევოლიუციის მატლებს" შიშის ზარს გვრის ხალხის მრისხანება, მათ აწუხებს რევოლიუციის ცეცხლის ალი და აი ისინი, მთავრობასთან შეთანხმებით, იქ პეტერგოფის სასახლეში ხალხის წინააღმდეგ ხრიკებსა და მახეს აწყობენ. ენაწყლიანი კადეტები მინისტრების პორტფელებს ირიგებენ.

არავინ იფიქროს, რომ თვითმპყრობელობა პორტფელებთან ძალასაც გადასცემს მურომცევის კაბინეტს. ახალი სამინისტრო მხოლოთ ახალი ნიღაბია ძველი თვითმპყრობელობისა.

კადეტების ფერ-უმარილით შეთხუპნილი თვითმპყრობელობა, რა თქმა უნდა, თავის მიზანს ვერ მიაღწევს და რევოლიუციის ქურათ გადაქცეულ რუსეთს ოდნავათაც ვერ დააცხრობს. პირ-იქით, ახლა უფრო თავისუფლათ და მძლავრათ გაშლის ფრთებს ხალხის მოძრაობა. სამხედრო წესების გაუქმება, ზოგიერთ „ადმინისტრატორთა" გადაყენება, კრების და სიტყვის მეტი თავისუფლება (ყველა ამას, ალბათ გაიმეტებს ახალი სამინისტრო) კიდევ უფრო გააძლიერებს და დააჩქარებს რევოლიუციის მსვლელობას და ხალხი რომელიც გუშინ გორემიკინის მინისტრებს უკიჟინებდა: გასწით გამეცალეთო" ხვალ მურომცევის კაბინეტს შემდეგი სიტყვებით მიუბრუნდება: გიცანით რა შვილებიც ბრძანებულხართ, კეთილ ინებეთ და გზა დაგვიცალეთო.

და მაშინ ახალი სამინისტრო სწორეთ იმავე გზას მიადგება, რა გზასაც გორემიკინი და მისი დამქაშები წააწყდენ:

„წახვალ ინანებ, არ წახვალ. მაინც ინანებო"—ეწერება ამ გზაზე.

**ახალი „არალეგალური საზოგადოება".**

ყოველივე ცვალებადია დალოცვილ დედა-მიწის ზურგზე! სანამ თვითმპყრობელობა კიდევ ქვე-მობმული და ძლიერი იყო, ხალხის ერთგული და მებრძოლი კრებული ფარულათ, იატაკ-ქვეშ ემსახურებოდა თავის წმინდა მიზანს და მთავრობაც ასეთ კრებულს „ფარულ საზოგადოებას" უწოდებდა. ასეთი საზოგადოების წევრთა ბედ-იღბალი, თუ ვინიცობაა მთავრობას ჩაუვარდებოდა ხელში, ვერაფერი სახარბიელო იყო. „ციხე, ციმბირი და სახრჩობელა"—აი, რა იარაღით ებრძოდა მათ დაუნდობელ მტარვალთა „ლეგალური საზოგადოება". მაგრამ დრონი იცვლიან, „ფარულმა საზოგადოებამ" ამოხეთქა სარდაფებიდან და ცეცხლის ალი აანთო რუსეთის ვეებერთელა გულმკერდში. ძველი „დაფარული საზოგადოება" აშკარა საზოგადოებათ გადაიქცა და მთელი რუსეთის ჩაგრულ-წამებული ხალხი აეწერა ამ საზოგადოებაში. „კები შებრუნდა". ახლა მთავრობის მომხრეებს დასჭირდათ სარდაფებში ჩაძრომა. ახლა მთავრობის ერთგულნი ადგენენ „არალეგალურ საზოგადოებას" და თუ ძველ „ფარულ საზოგადოების" დანაშაული „მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებაში" გამოიხატებოდა, ჩვენი დროის „არალეგალური საზოგადოების" დანაშაული ხალხის საწინააღმდეგო მოქმედება შეადგენს.

ერთი ასეთი ორგანიზაცია პეტერბურგში შესდგა რამდენიმე ხნის წინათ. ამ ორგანიზაციის სულის ჩამდგმელი და ხელმძღვანელი რუსეთ-იაპონიის ომში „სახელ მოხვეჭილი, ნიჭიერი გენერალი" მიშჩენკოა. ესენი ერთ უშველებელ შეთქმულებას ამზადებდნენ რევოლიუციის ჩასაქრობათ. მთელი პეტერბურგი რამდენიმე რაიონათ დაუყვიათ და თითო რაიონი და თითო ცნობილ გენერალს აქვს ჩაბარებული. ამ „არალეგარულ საზოგადოების" კრებები კონსპირატიულათ ხდება და საზოგადოთ მთელი მისი მოქმედება დიდი საიდუმლოებითაა გარემოცული, სწორეთ ისე, როგორც აქამდი რევოლიუციონერების მოქმედება იყო. ამ ბოლო დროს, როცა რევოლიუციური მოძრაობა ჯარსაც მოედო და დღითი დღე უფრო და უფრო „რყვნის" ერთგულ მხედრობას", ჩვენი ახალი „რევოლიუციონებიც" აჩქარდენ. მათ გადაუწყვეტიათ, რაც შეიძლება ადრე შეასრულონ თავიანთი შეთქმულება: ვინ იცის, რომ დავაგვიანოთ, იქნება ჯარმა გვიღალატოსო.

თქვენ უკვე დააგვიანეთ, ბრწყინვალე სპასპეტებო! თქვენი გეგმა აღარ გამოგადგებათ! თქვენ გინდათ სულის შებერვით ჩააქროთ ხალხის შეგნებით დანთებული ცეცხლის ალი. ასი ათასი ლაწვითაც რომ უბეროთ რევოლიუციის ცეცხლს, მაშინაც ვერ მიაღწევთ თქვენ მიზანს. უფრთხილდით ხალხის რისხვას, ბატონებო! არ იფიქროთ, რომ თქვენ მიერ დატანჯულმა, გაყვლეფილმა, შეგნებულმა ხალხმა გაპატიოს თქვენი დანაშაული. მთავრობამ და ხალხმა შესცვალეს როლები. როგორც მთავრობა არ ინდობდა რევოლიუციონერთა „ფარულ საზოგადოებებს", ისე ხალხიც არ დაინდობს თქვენ „ფარულ საზოგადოებას".

# ახალი ამბები

✦ კვირას, 18 ივნისს, საღამოს 9 საათზე მიხეილის პროსპექტზე შემდეგი ამბავი იხდა: განჯის პოლკის ერთმა პრაპორშჩიკმა ტრამვაის ერთ ვაგონიდან ჩამოიყვანა **კონდუქტორი პრუდნიკი**, ჯერ მასთან მყოფ პატრულებს გააჩხრეკია, ხოლო შემდეგ როცა ვერაფერი უპოვნეს, მივარდა და ცემა დაუწყო. ამის მნახველი ხალხი ვაგონში საშინლად აღშფოთებული დარჩა, აფიცერი საჩქაროთ მოსცილდა იქაურობას, ეს ამბავი მაშინვე შეატყობინეს ყველა ამხანაგებს, რომელთაც იმ წამსვე მუშაობა აღკვეთეს და ვაგონებით პარკში გამართენ. გუშინ ამათ სამუშაოს დაწყება არ უნდოდათ, სანამ დირექციამ არ დაარწმუნა იმაში, რომ ხსენებული აფიცერი უკვე დააპატიმრეს და პასუხის გებაში მიცემული. აფიცერს ყველაფერი ეს იმიტომ უქნია, რომ ხსენებულ კონდუქტორს იგი ვაგონიდან ჩამოუყვანია იმავე დღის 3 საათზე ელისაბედის ქუჩაზე, რადგან ვაგონზე ზედმეტისთვის ადგილი არ ყოფილა.

✦ კვირას, როგორც გადმოგვცეს, ნავთლუღში 200-მდე **ჯარისკაცთ მიტინგი ჰქონიათ.** რამდენიმე წუთის შემდეგ მიტინგს დრაგუნები შემორტყმია გარშემო.. სალდათებს ქვების სროლა დაუწყიათ, მაგრამ ვერას გამხდარან. დრაგუნებს დაუპატიმრებიათ 37-მდე ჯარისკაცი, მაგრამ როცა ესენი ყაზარმაში მიყავდენ რკინის გზის ბატალიონის ჯარისკაცებს გაუნთავისუფლებიათ.

✦ კვირას, კავკასიის სამკურნალო საზოგადოების დარბაზში მოხდა **ტფილისის ფარმაცევტთა კრება.** კრების თავმჯდომარე სულამბ ერიძემ წინადადება შე-

# ფელეტონი

**ამხ. მარტოვის საპასუხოთ მის წერილზე „მოხდეს თუ არა ხელ-ახალი გათიშვა (რასკოლი)" *).**

„გძნობენ თუ არა პეტერბურგის შეგნებული მუშები, ესმის თუ არა მათ, რომ რ. ს. დ. მ. პარტიას დღეს თუ ხვალ გათიშვა მოელის? ხედავენ თუ არა მუშები, რომ ის ამბები, რომელიც ამ ჟამათ პეტერბურგის ორგანიზაციაში ხდება, შემაერთებელი სიეზდის მიერ გამოცხადებულ პარტიულ თანხმობის და მთლიანობის სრულიად მოსპობის მომასწავებელია."

ამ სიტყვებით იწყება ამხანაგ მარტოვის წერილი. მეორე ადგილას ავტორი ურჩევს მეუმრავლესე მუშებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას. აგერ რამდენიმე დღე გავიდა მას აქეთ, რაც ამხ. მარტოვის წერილი დაიბეჭდა და დღემდის არც ერთ მეუმრავლესე მუშას არ გაუცია პასუხი. ასე რომ მე იძულებული ვარ ხელში ავიღო ჩემთვის უჩვეო იარაღი—კალამი და უცნობ საქმეს მოვყო ხელი.

არა, ამხ. მარტოვო, ჩვენ ამას არ ვგრძნობთ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ, რაც უნდა გვსურდეს ჩვენ-ჩვენი ფრაქციული გზით ვიაროთ, დაჰკრავს თუ არა ჟამი ნამდვილი საერთო გალაშქრებისა, ცალ-ცალკე სიარული ჩვენ ღონე აღემატება.

და ჩვენ „ანარქისტები, ეს-ესერები" (მეუმრავლესეები) იძულებული ვართ ხოლმე ხელი-ხელ ჩაკიდებული გავსწიოთ ამხ. „კადეტებთან" (მეუმცირესეებთან) ერთათ და ამნაირათ განუყოფელი რ. ს.-დ. მ. პარტიის სახით გავილაშქროთ წინ.

რა გაეწყობა! ასეთია სინამდვილე—ჩვენმა მეუფე-კაპიტალმა ისე მჭიდროთ შეგვაკავშირა, ისეთნაირათ გადაგვადუღა ერთმანერთში, რომ არც თქვენ გულ-აჩუყებულ გოდებას (საწყენათ კი არ მიიღოთ, ამხანაგო), და არც ამხანაგ ლენინის გესლიანობას არ ძალუძს ჩვენი გათიშვა.

თქვენ არც გაგვიერთიანებიხართ ჩვენ და ვერც გაგვთიშავთ. პერიფერიები შეერთდენ წინააღმდეგ თქვენი ლტოლვილებისა, მრავალ ადგილას რევოლიუციონური გზით მოხდა ეს შეერთება, და თქვენ კი, ჩვენ პატივცემულ წინამძღოლთ ისღა დაგრჩენოდათ, რომ აუცილებლობის ძალას დამორჩილებოდით. ეს აუცილებლობა ახლაც გაიძულებთ თქვენ, ერთათ იმუშაოთ მიუხედავათ თქვენი უთანხმოებისა.

ჩვენი რა ბრალია, თუ თქვენ სარედაქციო სტოლს შემოუჯდომიხართ ან და ც. კ., პ. კ. და სხვ. და სხვ. ცენტრებში ჩაჰჯდარხართ და იკბინებით ერთმანეთშორის. ეს მხოლოთ იმას ამტკიცებს, რომ ჩვენი პარტია ჯერ კიდევ არ არის სრულ დემოკრატიულ ფეხზე დაყენებული, ჩვენი პარტიის დემოკრატობა უფრო ქაღალდზეა მხოლოთ დაწერილი. მაშ ჩვენ უნდა ვეცადოთ, უნდა ყოველი ღონე ვიღონოთ, რომ ნამდვილი დემოკრატიზაცია მივახდინოთ პარტიაში—მაშინ ც. კ სა და პ. კ—ს შორის მომხდარ კონფლიქტის მსგავსი უთანხმოება შეუძლებელი გახდება.

ჩვენ შორის კი, პერიფერიებში, ასეთი გამწვავებული ურთიერთობა არ არსებობს. თუ სადმე შეხვდება კაცს, ისიც ცენტრების გავლენის წყალობაა.

ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მუშებს არაფერი გაეგებოდეს ფრაქციულ უთანხმოების საქმეში, ჩვენ თითონაც ვიღებთ მონაწილეობას ამ უთანხმოებაში, განა ჩვენც ამა თუ იმ ფრაქციას არ ვეკუთვნით, მარა ჩვენ შორის ალაგი არ აქვს იმ სექტანტურ გაუტანლობას, რომლითაც შეპყრობილ ამხანაგებს მხოლოთ თავიანთი აზრი მიაჩნიათ დაურღვეველ ჭეშმარიტებათ, ხოლო სხვისი კი სიცრუე, უტოპია და შეცდომა გონიათ.

ჩვენ არც იმ ფიცხ ორატორებს თანაუგრძნობთ, რომელნიც, თქვენი სიტყვით, ცენტრებს ნდობას უკარგავენ, ამხ. მარტოვო! მაგრამ არც ის ვარგა, ამხანაგო რომ თქვენ სხვის თვალში ბეწვი შეგიმჩნევიათ, მაშინ როდესაც თქვენ თვალში მთელი დირე ძევს. ვინმე სმარგონელმა კირილემ რომ ლენინს ესერი დაუძახოს, ან ვასილიევის კუნძულელმა ნიკოლოზმა პლეხანოვი კადეტათ მონათლოს, ეს არაფერი საშიშია, რადგან მათ სიტყვას მაშინვე დაარღვევენ ან და სრულიადაც დაივიწყებენ, ხოლო როდესაც ამხანაგი მარტოვი „ნევსკაია გაზეტას" და „კურიერის ნომრებში განზრახ დამახინჯებულად ახასიათებს ჩვენს მიმდინარეობას იმ მიზნით, რომ მთელი ფრაქცია გააშაოს მკითხველის თვალში—ეს კი სწორეთ საშიშია პარტიის მთლიანობისათვის, რადგანაც ამხ მარტოვის სიტყვას ყურს უგდებს მთელი რუსეთის ს.-დ-ია განურჩევლათ ფრაქციისა.

როგორც ხედავთ, ამხ. მარტოვო, ჩვენ შორის ისეთი აზრი შემდგარა თქვენი მოღვაწეობის შესახებ, რომ სწორეთ თქვენ ხართ დამნაშავე იმაში, რასაც პარტიის უბრალო მუშაკებს აბრალებთ. ჩვენ, ჩვენის მხრით ვცდილობთ მაინც შევაჩვიოთ ისინი ტაქტიანობას და რაც შეიძლება არსებითათ მსჯელობას.

ამხ. მარტოვი უწონებს მეუმცირესეებს დისციპლინას დაემორჩილენ და ბოიკოტი გაატარესო. ეს მეტის მეტია, ამხანაგო! საქმეც იმაშია, რომ ჩვენ ცალ-ცალკე არც ერთ ტაქტიკას არ გავატარებთ. არჩევნებში მონაწილეობის მიღება ხომ მთელი პარტიის შერცხვენა იქნებოდა მას შემდეგ, რაც ორგანიზაციების უმეტესობამ ბოიკოტი გადაწყვიტა. რა მოიგეს მოსკოველმა მეუმცირესეებმა არჩევნებში მონაწილეობის მიღებით. ყველა ამის მიზეზი ის არის, რომ „სიმიონიკოვცების" ინტერესები სავსებით ერთანხმება „მეტალურგიულ" მუშათა ინტერესებს. მე (მეუმრავლესე) და ერთი ყოვლად უკიდურესი მეუმცირესე ერთათ ვმუშაობთ, ერთ მანქანაზე. ჩვენ ორივენი მუდამ ერთათ ვიბრძვით უკეთესი მერმისისათვის, ჩვენი გათიშვა ერთი წამითაც კი ყოვლად შეუძლებელია. ჩვენ მხოლოთ იმიტომ არ ვეთანხმებით ერთმანეთს, რომ თითეულ ჩვენგანს ასე გონია, აი მე წავავლე კუდში ხელი ჭეშმარიტებასო და ცდილობს თავისი აზრი მეორესაც მოახვიოს თავზე, მაგრამ, როცა ორივე კრიტიკის თვალით შევხედავთ საქმეს, აშკარათ ვხედავთ ხოლმე ამა თუ იმ პოზიციის ნაკლულოვანებას

მე მინდა ორიოდე სიტყვით ც. კ—ს და პ. კ.—ს შორის მომხდარ კონფლიქტის ფორმალურ მხარეს შევეხო.

*) ეს წერილი გადმოთარგმნილია „ვპერიოდის" მე-16 ნომრიდან.

იტანა თბილისში არსებულ ფარმაცევტთა კავშირის რეორგანიზაციის შესახებ. ამ საქმისა და სხვა საკითხების განხილვა ცალკე კომისიას გადაეცა, რომელიც თავის აზრს ფარმაცევტთა მომავალ კრებას წარუდგენს.

✦ **ბათუმიდან გვატყობინებენ**, რომ მცხოვრებნი მეტის-მეტ შიშში არიან კაზაკთა სოტნიკის მოკვლის შემდეგ, რადგან კაზაკები დათარეშობენ ქალაქში და მცხოვრებთ საბრძოლველათ იწვევენ. ელიან პოგრომს.

✦ **მინგრელსკი პოლკის იმ ჯარის კაცთა** საქმის განხილვა, რომელთაც აპრილში ამ პოლკში მომხდარ არეულობაში მონაწილეობის მიღება ბრალდებათ, კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლოში დანიშნულია 22 ივნისს.

### ხმა ჩრდილოეთიდან.

პეტერბურგი 11 მაისი

გუშინ წინ სათათბიროში შეველ. მთელი დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. სათათბიროს სხდომა განსაკუთრებით საინტერესო იმით იყო, რომ ამ სხდომას პირველათ დაესწრენ კავკასიელი დეპუტატები და გარდა ამისა — ამ დღეს მინისტრებს პასუხი უნდა მიეცათ სათათბიროს რამდენიმე შეკითხვაზე, რაც ძალიან იშვიათათ ხდება: მთავრობა მაინცა და მაინც არ იწუხებს თავს სათათბიროში მასლაათით და თუ ხან-და-ხან ზოგი მინისტრი გამოჩნდება დეპუტატების წინაშე. ეს ისე, ფორმისთვის, აქაო და ჩვენც პარლამენტი გვაქვსო. იუსტიციის მინისტრმა წარმოსთქვა მოკლე, უფერული, მამაოჩვენოსავით დაზეპირებული სიტყვა, რომელიც უაზრო იყო, რომ ისეთი არავითარი პროტესტი არ გამოუწვევია. მინისტრი ამართლებდა გუბერნატორებს, გენერალ-გუბერნატორებს და ამტკიცებდა: ყველაფერი, რაც ჩაიდინა ამა თუ იმ სატრაპმა, კანონიერია, მე კანონიერათ მიმაჩნია და თქვენ რაც გინდათ, ისა ქენითო. მორჩა და გათავდა. ტრიბუნაზე შინაგან საქმეთა მინისტრი ავიდა. ილაპარაკა დიდხანს, ილაპარაკა გრძნობით, ცხარეთ, გატაცებით, მაგრამ... თავი, რასაკვირველია, მაინც ვერ გაიმართლა... ან კი როგორ გაიმართლებდა, როცა ცხადზე-უცხადესი ფაქტები, მთელი გროვა ფაქტებისა მჭერმეტყველურათ უცილობლათ ამტკიცებს იმას, რასაც ბ. მინისტრი უარყოფდა... მეო, ამბობდა ბ. სტოლიპინი, სინიდისი წმინდა მაქვსო. რაც აქამდის მოხდა, იმის ბრალი მე არ მედება. სიტყვას გაძლევთ, რომ ჩემი წინამოადგილეების გზას არ მივსდევო. ამ დროს ბელოსტოკში ებრაელებს ჟლეტენ, რიგასი და ვარშავაში მცირეწლოვანთ ხვრეტენ, თავისუფლებისათვის მებრძოლთ ციმბირში გზავნიან, ციხეებში ალპობენ.. მინისტრი ამაზე ხმას არ იღებს. ის ცდილობს ყველა ეს ჩააფუჩჩოს, თავისი ხელქვეითნი გაამართლოს. შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხელეთ თურმე თავდავიწყებით უყვართ თავისი სამშობლო და სიცოცხლესაც კი სწირავენ მას. არ გჯერათ, ფაქტები გინდათ? მინისტრი გეტყვით, რომ ამდენი პოლიციელი მოუკლავთ რევოლიუციონერებს, ამდენი ჯაშუში, მოუკლავთ და დაუჭრიათ... ამ სტატისტიკურმა ცნობებმა უნდა დაარწმუნოს ყველა ურწმუნო თომა, რომ ,,გოროდოვოები'', ,,სტრაჟნიკები'' და სხვა მათ გვარი ყიზილბაშები მართლაც და ნამდვილი მამულიშვილები, ნამდვილი პატრიოტები ყოფილან... მაგრამ მინისტრის „პატიოსანი“ სიტყვა, რომ რუსეთში ამ ჟამად არავითარი საშინელება არ ხდება, არავის სჯერა, სათათბიროში გაისმის წამ-და უწუმ: „ძირს, ძირს“. გოროდოვოების „პატრიოტობის“ ხსენება კი სათათბიროში სიცილ-ხარხარს იწვევს. ბ. სტოლიპინის შემდეგ ტრიბუნაზე თავ. ურუსოვი ავიდა, რომელიც უწინ შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგათ იყო, ახლა კი „დემოკრატიულ რეფორმების“ პარტიას ეკუთვნის. ამ თავ. ურუსოვს საუცხოვოთ სცოდნია ყველაფერი, რაც ხალხის უჩინრად ბიუროკრატიულ კანცელარიებში კეთდება, და ისიც, თუ როგორ მზადდება სამინისტროში ებრაელთა „პაგრომები“. თავ. ხანგრძლივი სამსახურის განმავლობაში ორატორს მდიდარი მასალა შეუგროვებია და ამ დღეს ყველაფერი გამოამზეურა სათათბიროში. ურუსოვის სიტყვა ძლიერი შთაბეჭდილება იქონია მთელ სათათბიროზე, ტაშის ცემა დიდხანს არ შეწყვეტილა. შემდეგ ილაპარაკა დეპ. ვინავერმა, ნაბოკოვმა და როდიჩევმა. თქმა არ უნდა, რომ ესენი შესანიშნავი ორატორები არიან და, როგორც მოსალოდნელი იყო, მართლაც მშვენიერი სიტყვები წარმოსთქვეს იმათ ცხად ყვეს მთავრობის როლი და მონაწილეობა „პოგრომებში“, დაამტკიცეს უცილობლათ, რომ მინისტრის თითოეული სიტყვა მტკნარი სიცრუე იყო, გამოამჟღავნეს მთელი გროვა დოკუმენტებისა, რომელიც ნათელყოფს დღევანდელი მთავრობის ურცხვ ბოროტმოქმედებას. იმათ გამოაშკარავეს, რომ პოლიციის დეპარტამენტში არსებობს კონსპირატიულათ სტამბა, იქ იბეჭდება პროკლამაციები, რომელიც მოუწოდებს „ჭეშმარიტ-რუსებს“ ებრაელები ამოჟლიტონ და სხ. და სხ. უკეთესათ აღარ შეიძლებოდა ახლანდელი მთავრობის სისაძაგლის დამტკიცება, მაგრამ კადეტებმა ვერ მოითმინეს, რომ ამ მშვენიერ სიტყვებში რამდენიმე კადეტური მარგალიტი არ ჩაექსოვათ, ბ. როდიჩევი, ეს ერთ-ერთი საუკეთესო ორატორი, იუპიტერივით ჰქექდა და ქუხდა, მიწასთან ასწორებდა სამინისტროს, მთელ მთავრობას. იმის სიტყვაში თითქმის გულწრფელი გრძნობაც კი ისმოდა და ეს საუცხოვო სიტყვა იმით დაასრულა, რომ... სასახლისკენ მიაპყრო იმედით სავსე თვალები... უბედურება თურმე იმაში კი არ ყოფილა, რომ ეს მთავრობა ათას ნაირ სისაძაგლეს სჩადის, ხალხს ულეტს, ხოცავს, ციხეში ალპობს, ხვრეტს და ალრჩობს... არა მთავრობის უსაშინელესი დანაშაული ის ყოფილა, რომ ეს მთავრობა სათათბიროსა და მეფეს შუა სდგას, აბრკოლებს „პარლამენტის“ და მეფის დაახლოვებას, ხელს უშლის მათ მორიგებას, შეთანხმებას... ამ განცხადებამ, რასაკვირველია, ცუდი შთაბეჭდილება იქონია და როდიჩევის მშვენიერ სიტყვას წაუშლელი ლაქათ მოეცხო.. უკანასკნელი ორატორი ამხ. ის. რამიშვილი იყო... ავიდა ტრიბუნაზე პირველი სოციალ-დემოკრატი და ძლივს მოასწრო ორიოდე სიტყვის თქმა — ერთიც ვნახოთ, მინისტრებმა დასტაცეს პორტფელებს ხელი და კარებისკენ მოკურცხლეს. „მოიცადეთ, ბ. მინისტრებო“ — მიაძახა ამხ. რამიშვილმა „მოიცადეთ და მე ფაქტებით დაგიმტკიცებთ“... მაგრამ აქ თავმჯდომარემ ორატორს სიტყვა გააწყვეტინა, მემარცხენეებმა პროტესტი გამოაცხადეს: „აცალეთ ლაპარაკი, სიტყვას ნუ აწყვეტინებთ“-ო. თავმჯდომარე ზარს აწკარუნებს და დეპუტატებს ამშვიდებს. ამით ისარგებლეს მინისტრებმა, რომელნიც ყვირილმა ცოტა არ იყოს შეაფიქრიანა, და გარედ გავარდენ. თავმჯდომარემ კრება შესწყვიტა ერთი საათით, რასაც კადეტები ხანგრძლივი ტაშის ცემით მიეგებენ: სჩანს, ისინიც შიშობდენ რამე საწყენი არ ეთქვა ამხ. რამიშვილს მინისტრებისათვის. თავმჯდომარეს, ბ. მურომცევს, „ზრდილობიანობას“ უქებენ, მაგრამ ნუ თუ ეს მისი საქციელი ზრდილობიანობის მაჩვენებელია?..

Enfant terrile

# პარტიის ცხოვრება

## წესდების პროექტი

თბილისის ორგანიზაციისა რ. ს. დ. მუშათა პარტიისა, მიღებული სარაიონოთაშორისო კრებისგან.

§ 1. პარტიის **წევრები თბილისში** შეადგენენ ერთათ **თბილისის ს.-დ. მუშათა** ორგანიზაციას

---

ერთის მხრით, ჩვენ თითქო მართლაც უნდა დავემორჩილოთ ც. კ—ს ყველა დირექტივას, მარა მეორე მხრით ძალაუნებურათ ასეთი კითხვა მებადება: ნუთუ ცარიელი სიტყვაა და მეტი არაფერი ეს ჩვენი ავტონომია! ადგილობრივ ორგანიზაციების ავტონომია ნებას გვაძლევს — სასტიკი თვალყური ვადევნოთ ც. კ.-ის ყველა დირექტივას, ეთანხმება თუ არა ის სიეზდის რეზოლიუციებს; თუ არ ეთანხმება, იმ შემთხვევაში ადგილობრივ ორგანიზაციებს შეუძლია სრულიად არ მიიღოს, უარყოს იგი.

ჩვენ გვეუბნებიან, ც. კ.-ის რეზოლიუცია, რომლის თანახმათ სათათბიროს წევრთაგან შემდგარ სამინისტროს მხარი უნდა დავუჭიროთ, — სიეზდის რეზოლიუციების ლოღიკური განვითარებააო.

მარა თუ რომ ეს ლოღიკური განვითარებ ცოტა კიდევ გავავითარეთ, მაშინ ჩვენ იძულებული გავხდებით პრაქტიკულ მოღვაწეობაშიაც მხარი დავუჭიროთ ამ სამინისტროს.

ამაზე გვიპასუხებენ: იმდენათ უნდა დავუჭიროთ მხარი, რამდენათაც ის (სამინისტრო) რევოლიუციონური იქნებაო. მე მგონია, რომ იგი უფრო რევოლიუციონური იქნება, ვინემ კორემიკინის სამინისტრო. იგი შეეცდება კადეტების კანონ-პროექტები გაატაროს (ამ კანონპროექტების ღირსება ჩვენ კარგათ ვიცით) და ამგვარათ მემარჯვენეთა რისხვას დაიმსახურებს. თუ ჩვენ ლოღიკას არ ვუღალატებთ მაშინ ჩვენ სამინისტროსაც და მის კანონ-პროექტებსაც (მაგალ. ბეჭდვითი სიტყვის კანონპროექტსაც) მხარი უნდა დავუჭიროთ მემარჯვენეთა წინააღმდეგ ჩვენ კიდევ გვეუბნებიან (ც. კ. რეზოლიუციის ახალი ვარიანტი) რომ საქმე კადეტური სამინისტროს მხარის დაჭერაში კი არ არის, რომ ამ კონკრეტულ ლოზუნგის გარშემო შემოიკრიბება რევოლიუციური მასსა, რომელიც ამ სამინისტროს რევოლიუციურ ორგანოთ გახდის. აი ეს ოპტიმიზმი მე მიუტევებელ ცოდვათ მიმაჩნია. მე ის სრულებით არ მესმის. ვითომც გერმანიაში 1848 წელს მართლაც მომხდარიყოს რაიმე ამის მსგავსი: იქ ხალხის ზეგავლენის ქვეშ დამხობილ იქმნა ყველა რეაკციონური სამინისტროები და მათ ადგილზე აღიმართენ ლიბერალური კაბინეტები, რომელნიც ისეთივე ტრიბუნებისაგან შესდგებოდენ, როგორიც ჩვენი კადეტებია და რომელთაც ხალხის მოძრაობის ნაყოფი ფერად-ფერადი სიტყვებში დამარხეს.

წარმოვიდგინოთ, რომ კადეტების სამინისტრო მართლაც რევოლიუციის ორგანოთ გახდება.

ვინ არის თავმდები, რომ რევოლიუცია ასე სწრაფათ გაიწევს წინ, ვინ იცის, იქნება უფრო ნელი ნაბიჯით განაგრძოს მსვლელობა.

მაშინ, ჩემის აზრით, კადეტების სამინისტროს მხარის დაჭერა არა თუ გამოუსადეგარი, ფრიად მავნებელიც იქნება. მაშასადამე პარტიული სიეზდი ამის მსგავსს არაფერს არ დაადგენდა, მას არ შეეძლო ასეთი რამე დაედგინ

იქნება ც. კ. რეზოლიუცია მე სწორედ არ მესმის; იქნება ამ რეზოლიუციიდან მე სწორე დასკვნა არ გამომყავს? შეიძლება, მაგრამ ის ფაქტი ფაქტათ რჩება, რომ მუშების ძალიან დიდ უმრავლესობას ფრაქციების გაურჩევლათ ხსენებული რეზოლიუცია სწორეთ ასე ეყურება და თუ ასე უნდა გავიგოთ ც. კ. რეზოლიუცია, მაშ საჭიროა გატეხილათ ითქვას, რომ ც. კ. გასამტყუნარია. როცა ის პ. კ—ს, ე. ი. პეტერბურგის შეერთებულ სოც.-დ. ძალას ატანს, გინდა თუ არა ჩემი რეზოლიუცია მიიღეთ, გასამტყუნარია, იმიტომ რომ მისი რეზოლიუცია გამაერთიანებელ კრების დადგენილებას არ ეთანხმება. არავის არა აქვს უფლება კრების გადაწყვეტილების ახსნა ასე გააფართოვოს, ვინაიდან სიეზდზე ორი მიმდინარეობა იბრძოდა და რამდენადაც შეიძლებოდა გაფართოვება, სიეზდმა თითონ გააფართოვა, და მეტი გაფართოვება ცალ მხრივ კრების დადგენილებას აშკარათ არღვევს.

ამხ. მ, ამბობს: ეს მხოლოთ რომელიმე რეზოლიციის წამოყენება კი არა, მოქმედებისად მოწოდებააო. პეტერბურგის წესდებაში, თუ არა ვცდები, არის ერთი მუხლი, რომლის ძალითაც ყოველი მოწოდება მასსიურ გამოსვლისადმი შეერთებულ მასსისაგან უნდა იქმნას დადასტურებული. წესდების შემუშავების დროს ჩვენ მეუმრავლესე მუშებმა ამ მუხლს ხმა მივეცით და ჩვენი ინტელიგენტები უმცირესობაში დავტოვეთ. მე შევეკითხები პარტიულ იურისტებს: სავალდებულოა თუ არა ეს მუხლი ც. კ-სათვის. ამხ. მარტოვი ამბობს: ც. კ-მა გამოიმუშავა კომპანიის ერთი სასტიკათ განსაზღვრული გეგმა, და პეტერბურგის ორგანიზაცია, რომელიც არ ემორჩილება იმას თავისი ურჩობით ამ გეგმას ჰფუშავს, და ამ გეგმის განხორციელებაში დეზორგანიზაცია შეაქვსო.

აგე რომ, ც. კ-მა კაბინეტში შეიმუშავა კომპანიის გეგმა, ჩვენ კი, ავტონომიურმა ორგანიზაციებმა, ხელი უნდა მოვაწეროთ და ცხოვრებაში გავატაროთ. ჩვენ არ გვეძლევა უფლება ჩვენი აზრი გამოვთქვათ ც. კ.-ის პლანის ავკარგიანობის შესახებ.

ალბათ ც. კ.-ში დიქტატორ მეუმრავლესეებს მოუყრიათ თავი? სირცხვილო! ამბობენ ც. კ-ის წევრთა უმეტესობას მეუმცირესეები შეადგენენ, ის მეუმცირესეები, რომელნიც პრინციპიალურათ იცავენ მუშების თვითმოქმედებასო.

საბრალო თვითმოქმედება!

მე კი, ვაგლახმა, როცა პარტიის წესდებაზე იყო მსჯელობა, მეუმცირესეებს მივეცი ჩემი ხმა, რადგან ისინი ასე თავგამოდებით იცავდენ თვითმოქმედებას და ჩემი მაგალითით სხვა მეუმრავლესე მუშებიც შევაცდინე.

მიდგა თუ არა საქმეზე, ჩვენი თვითმოქმედება — გაქრა, წავიდა!

ყველაზე უფრო სამწუხარო ის არის, რომ ვიბორგის რაიონის ამხანაგებმა არც კი გაარჩიეს საქმე, აიღეს და პირდაპირ ხელი მოაწერეს ც. კ.-ს რეზოლიუციას ამხანაგებო! ასეთ შემთხვევებში ჩვენ მუშებმა, მტკიცით უნდა დავიცვათ ჩვენი უფლებები ცენტრების წინაშე“.

რაც შეეხება პ. კ.-ის უვარგისობას (неработоспособность), ეს ც. კ.-ის საქმე სულაც არ არის. ამის გადასაწყვეტათ პეტერბურგის ორგ. განსაკუთრებული კონფერენცია მოხდება და გადაწყვეტს კიდეც, თუ რამდენათ უვარგისია პ. კ.

გათიშვის შესახებ კი ასეთ დროს ლაპარაკიც მეტია, რადგან პერიფერიები, ჩვენ რაიონში მაინც, ერთობის მომხრენი არიან

მაშ გაუმარჯოს პერიფერიების ერთო-

§ 2. პარტიის ახალ წევრებს იღებენ ძირითადი ორგანიზაციები თანახმად იმ წესებისა, რომლებსაც შეიმუშავებს თბილისის კომიტეტმ და დაამტკიცებს მთელი თბილისის ორგანიზაცია.

§ 3. ორგანიზაციის ყოველი წევრი მოვალეა დაემორჩილოს როგორც პარტიის ყოველ დადგენილებას, ისე ადგილობრივი ორგანიზაციის უმეტესობას; მოვალეა აგრეთვე მოიზიდოს ახალი წევრები სოციალდემოკრატიულ აზრების გავრცელებით და საერთოთ იმოქმედოს ისე, როგორც ამას მოითხოვს პარტიის ინტერესები.

§ 4. ძირითად ორგანიზაციათ ითვლება ორგანიზაცია, შემდგარი პარტიის ოცდა ხუთი წევრისაგან.

§ 5. ძირითად ორგანიზაციის წევრებმა თავიანთ შორის უნდა ამოირჩიონ: ერთი წარმომადგენელი რაიონულ კომიტეტში, ერთი ორგანიზატორი, ერთი „სბორჩიკი“ და ერთიც ტრანსპორტიორი.

შენიშვნა: ა) „სბორჩიკის“ მოვალეობაა მოჰკრიბოს ფული თავის ამომრჩევლებსა და თანამგრძნობებზე და გადასცეს რაიონული კომიტეტის კასირს. ბ) ორგანიზატორის მოვალეობაა: მოაწყოს თავისი ამომრჩევლების კრებები, მოსძებნოს ბინა კრების გასამართავად და სხვა... გ) ტრანსპორტიორის მოვალეობაა: თავის ამომრჩევლებს მიაწოდოს ყოველგვარი პარტიული ლიტერატურა და გაავრცელოს მასსაში ეს ლიტერატურა. ლიტერატურას უნდა იღებდეს რაიონულ ტრანსპორტიორისაგან. დ) წარმომადგენელის მოვალეობაა: გადიტანოს თავის ამომრჩევლებში ყველა პარტიულ-პოლიტიკური კითხვები (გარდა კონსპერატიული კითხვებისა).

(დასასრული იქნება)

---

**მკერვალების ცეხი.** გუშინ წინ მკერვალების პარტიული კრება მოხდა. მთე-

---

ბას *) და არსებით კრიტიკის თავისუფლებას!

**მუშა ნიკანორ პეტრ—ვი.**

---

**რედაქციისაგან.** აი წერილი რომელიც, ჩვენი აზრით, სისწორით გამოხატავს მოწინავე მუშების სულის კვეთებას. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ შორის უთანხმოებაა, მაუხედავათ იმისა რომ ჩვენ ხშირათ სხვადასხვა თვალით უყურებთ ერთსა და იმავე მოვლენას—ჩვენ მაინც ერთნი ვართ, ჩვენ მაინც ვერაფერი ვერ დაგვაშორებს ერთმანეთსო და ეს იმიტომ, რომ კაპიტალმა და თვითმპყრობელობამ ერთმანეთს შეგვასისხლხორცა, ორივე სოციალ-დემოკრატიულ ნიადაგზე შეგვაყენაო. თქვენ არ შეგიერთებიავართ“—მიმართავს ამხ. პეტროვი პარტიის ბელადებს—„და ვერც გაგვაშორებთ“, ჩვენ პარტიული მუშაკები, თითონ შევერთდით და თითონვე დავიცავთ პარტიულ მთლიანობას, და თქვენ, პარტიის ბელადები იძულებული იქნებით ჩვენს ასეთ მიდრეკილებას დაემორჩილოთო. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენდა სასიხარულოთ, ასეთივე აზრი ტრიალებს თბილისის ფართე პარტიულ მასსაში. ჩვენ სიხარულით ვეგებებით მუშების ასეთ სულის კვეთებას და ხმა მაღლა ვამბობთ, რომ მხოლოდ ამ ნიადაგზე შეიძლება აღმოცენდეს პარტიის ერთიანი მოქმედება. ჩვენი აზრით, პარტიული უთანხმოება სრულიადაც არ უაყჰყოფს პარტიის მთლიანობას — პირიქით — ამხანაგური კრიტიკა და ერთ ურთის ამხანაგურათ მოსმენა ნამდვილი ღვიძლი შვილია ნამდვილი და მკიდრო პარტიული მთლიანობისა.

---

*) ცენტრების გათიშვა ამ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება.

ლი დღის განმავლობაში ამხანაგები კრიტიკულათ არჩევდენ რეორგანიზაციის წესდების პროექტს და დიდი ხმის უმეტესობით (50 ხმით) წინაამდეგ 3 ხმისა (სამმა არ მიიღო კენჭის ყრაში მონაწილეობა) მოიწონა და მიიღო სრულიათ. მხოლოთ მე 5 პუნქტ ს შესახებ ყველამ ერთხმათ (55 კაცმა) დაადგინეს, ძირითად ორგანიზაციის წარმომადგენლის მოვალეობას შემდეგი მოვალეობაც დაეკისროს: ამომრჩევლების მიერ შემუშავებული გადაწყვეტილება გადაიტანოს ხოლმე რაიონული კომიტეტის და რაიონული ორგანიზაციის ყველა წევრების კენჭის საყრელათ, თუ ეს გადაწყვეტილება მხოლოთ იმ რაიონს შეეხება.

---

### ქუჩების ცხოვრება.

**ვერის ჰოდრაიონი.** 5 ამ თვეს სანთლის ზავოდის მუშებმა გამოიმუშავეს თავიანთი მოთხოვნილებანი (8 მოთხ.) და წარუდგინეს სამღვდელოთა კრებას, რომელიც მეორე დღეს იყო დანიშნული.

კრება თავის საქმეების რჩევას შეუდგა და მუშების მოთხოვნილებანი უყურადღებოთ დასტოვა, მუშებმა განმეორებითი შეკითხვა შეიტანეს სადაც ჯერ არს და პასუხი ამგვარი იყო: ბავშვების დაბადება—გაჩენის დროს მოგცემთ 10 მან., მუშის სიკვდილის დროს 100 მ. და ექიმიც უფასო იქნებაო.

მუშები ამაზედ არ დაჰყაბულდენ და პარასკევს, 16 ამ თვეს გაიფიცნენ. ისინი დაჟინებით თხოულობდნენ მოთხოვნილების ასრულებას. აი ის მოთხოვნილებანი; 1) 8 ს. სამუშაო დრო; 2) ვისაც აქვს თვეში 55 მ — 70 მ. მოემატოს 10⁰/₀, ვისაც 40 მ.—55 მ. —15⁰/₀, ვისაც 33 მ —36 მ.—25⁰/₀ და ვისაც 20 მ.—26 მ. აქვს—30—⁰/₀., 3) ექიმი ზავოდის ხარჯზედ; 4) ერთი თვის „ოტპუსკის“ აღების ნება ჰქონდეს მუშას წელიწადში და ამავე დროს ალაგი და ჯამაგირიც ენახებოდეს; 5) ბავშვის დაბადება—სიკვდილის დროს ეძლეოდეს 10 მ., 6) თუ თვითონ მოკვდა, ოჯახს მიეცეს 100; 7) მუშების მიღება—დათხოვნა მუშებზედვე იყვეს დამოკიდებული და 8) გაფიცულ დღეებში მიეცეთ უკლებლათ ჯამაგირი.

ვინ აჯობებს ამ გაფიცვაში მუშების მტკიცე კავშირი თუ სანთლის ზავოდის ექსპლოატატორი გამგეობა? ამას ახლო მომავალი დაგვანახვებს, რადგანაც თუ არ მუშების დაკმაყოფილება სხვა ვერა უშველის რა წმინდა მამებს.

**ქრისტე.**

---

### მეპაპიროზეთა რეზოლიუცია.

თბილისის თამბაქოს ქარხნების მუშათა გაფიცვის ბიურომ განიხილა რა ერთ-ერთს თავის კრებაზედ საზოგადო მსვლელობა საქმის გაფიცვის დროს განმავლობაში, აგრეთვე—გაფიცულ მუშათა ტაკტიკა შემდეგში მოქმედებისათვის გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია, რომლის აუცილებლივ შესრულებისათვის მიღებულ—იქმნება ენერგიული ზომები.

მივიღებთ რა მხედველობაში: 1) რომ ზემოხსენებულ ქარხნების მუშათა გაფიცვა გამოწვეულ იქმნა შრომის აუტანელ და ჯოჯოხეთურ პირობებით რომლებშიც სამუშაო ქირა არ აკმაყოფილებდა უპირველეს და აუცილებელ მუშის მოთხოვნილებას. მასთან არ შეეძლო ამ ნაირი ქირით მუშას თავისი არსებობის დაკავება იმდენად რომ შერჩენოდა ენერგია შემდეგში შრომისათვის.

2) მისდა მიუხედავად, რომ მუშების მიერ წარდგენილი მოთხოვნილებანი სრულიად სამართლიანი და ადვილად შესასრულებელია, ქარხნების პატრონთა კავშირი მაინც არ იშლი თავის გაიძვერობით მოქმედებას, სცდილობს დეზორგანიზაციის მოხდენას მედგრად მებრძოლ ხაზეინებთან მუშების მოქმედებაში და ავრცელებს სხვა და სხვა ჭორებს, ვითომ და ქარხნების სულ მთლად დაკეტვის შესახებ და სხვა.

3) რომ ის მედგარი ბრძოლა, ის სოლიდარობა და ერთსულობა, რომელიც დამყარებულია გაფიცულ მუშათა შორის იძულებულს ჰყობს ამ უკანასკნელთ არჩიონ ისევ დროებით სიმშილი მუდმივ სიმშილ-წყურვილს და აუტანელ პირობებში ყოფნასა და აძლევს მათ ე. ი. გაფიცულ პროლეტარიატს უტყუარ საბუთს ახლო მომავალში აუცილებელ გამარჯვებისას.

4) რომ ეკონომიურ ბრძოლაში მუშების კაპიტალისტებთან ვანსაკუთრებით დღევანდელ რევოლიუციონურ ხანაში აღნიშნულ მიზნის მისაღწევად შეუძლებელია შეჩერება თუნდ ამისათვის აუცილებელი შეიქმნას სხვა და ჩხვა ენერგიული ზომების და საშვალების მიღებაც, გაფიცვის ბიურო ადგენს პირველ ხანათ გამოეცხადოს **სახტკი ბოიკოტი** ყველა საქონელს ენფიეჯიანცის, ბოზარჯიანცის, საფაროვის და „მირის ქარხნებისას, ამისათვის ბიურო მიმართავს ყველა რევოლიუციონურ და ოპოზიციონურ პარტიებს—მთლად პროგრესიულ საზოგადოებას და ბოლოს—ყველა მოვაჭრეებს ენერგიულად მხარი დაუჭირონ ამნაირ ბოიკოტს იქნობამდის სინემ, იქმნება დამსხვრეული სიკერპე კაპიტალისტების და არ იქნება შესრულებული მოთხოვნილებანი მუშებისა.

---

# რ უ ს ე თ ი

✦ **აგრარული მოძრაობა ფართო დება.** ქ. მალოგის არე-მარის გლეხები სათიბ მინდვრებს იყოფენ ერთმა ეთ შორის. მთავრობამ ყაზახები გამოიწვია.

— მცენსკის მაზრაში გლეხთა მოძრაობა ნამეტნი გაძლიერდა. გლეხებმა დაარბიეს მემამულეთა ადგილები.

— პიატიგორსკთან ახლო მდებარე სტანიცებში ყაზახებსა და გლეხებს შორის შეტაკება მოხდა. ქალაქიდან ჯარი მოვიდა.

— ატკარსკის მაზრაში, იურიევიჩის ადგილ-მამულში მომუშავე გლეხები გაიფიცნენ. გაფიცულები ჯამაგირის მომატებას მოითხოვენ.

— ხარკოვის ციხეში ყოველდღე მოყავთ რამდენიმე ტუსაღი გლეხები.

— ელისავეტგრადთან, სოფ. ნოვოუკრაინკაში სტრაჟნიკებსა და გლეხებს შორის შეტაკება მოხდა. სტრაჟნიკებმა ერთ სახლს შეაფარეს თავი. გლეხებმა ალყა შემოარტყეს ამ სახლსა და ქვები დაუშინეს. ალყა შემორტყულმა სტრაჟნიკებმა ძლივ დააღწიეს თავი. მთავრობამ ჯარი გამოიწვია.

— პოლტავის გუბერნიაში ძალიან ახშირდა ცეცხლის წაკიდება. დღე ერთია და რამდენიმე ეკონომია იწვის.

— იურიევეცში ძლიერი აგრარული მოძრაობა დაიწყო.

— პოდოლსკის მაზრაში ერთი ეკონომიის ბეღლები სრულიად გადასწვეს გლეხებმა.

— რილსკის მაზრაშიც ძალიან დიდი მოძრაობაა, სხვათა შორის შაქრის ზავოდის მუშები გაიფიცნენ.

— ელეცის მაზრაში გლეხები მემამულეების ხე-ტყეს სჩეხავენ.

— კონსტანტინოგრადში თერთმეტ ამ თვეს შემდეგი ამბავი მოხდა:

ერთი გლეხი ბაზარში ს. დ. გაზეთ „კოლოკოლს“ კითხულობდა. პოლიციელმა ხელიდან გამოგლიჯა გაზეთი. დამსწრე გლეხები გაამწარა პოლიციელის საქციელმა და უკანასკნელი სტვენით და ყვირილით გასტუმრეს. უცებ ხალხს დაესხა ისპრავნიკი, რომელმაც ლეკები მოიყვანა თან და გლეხებს სროლა დაუწყო. გლეხებმა ზარები დაკრეს რომ ახლო მახლო სოფლებიდან მცხოვრებლები გამოეწვიათ. პოლტავიდან ყაზახები და ლეკები მოიყვანეს. შეტაკების დროს რამდენიმე კაცი მოკლეს, დაჭრილები მეტია.

---

# დ ე პ ე შ ე ბ ი

(„პეტერბურგის სააგენტოსაგან“)

18 ივნისი

**პავლოგრადი.** ებრაელების დარბევის მოლოდინში, ფაბრიკების პატრონები საქონელს ნისიათ აღარ იძლევიან.

**პოლტავა** გუბერნატორი აცხადებს: არეულობა დაწყებისათანავე იარაღის ძალით იქნება ჩაქრობილიო.

**პეტერბურგი.** 18 ივლისს შესდგა კერძო სხდომა შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრენ მინისტრის თანაშემწე კრიჟენოვსკი და მაკაროვი და დეპარტამენტების დირექტორები არბუზოვი და ვლადიმიროვი. გაარჩიეს სახელმწიფო სათათბიროსაგან შემუშავებული პროექტი სინიდისის თავისუფლებაზე. სხდომამ რამდენიმე პუნქტს გარდა, პროექტი მისაღებათ სცნო.

**მოსკოვი.** 18 ივნისს ერთი ფაბრიკის კანტორაში შევარდა ორი ნიღაბ-აფარებული შეარაღებული კაცი და კასიდან 3000 მან. გაიტაცეს. ერთი მათგანი დაიჭირეს. ნოვოსპასკის ხიდთან მუშებმა გოროდოვოის სროლა აუტეხეს. დაიჭირეს ორი მუშა.

**ვარშავა.** ღამის ორ საათზე „ნოვი ვრუნდში“ გლეხებმა სამი დარაჯი დასჭრეს.

**რიაზანი.** რადგან ხლუდოვის ფაბრიკის მუშებმა გაფიცვა არ შესწყვიტეს ფაბრიკის პატრონი ფაბრიკას ხურავს.

**ბათუმი.** მცხოვრებლები შიშმა შეიპყრო. ავრცელებენ პროვოკა ორულ ფურცლებს, რომლებშიდაც იწვევენ რუსებს: ქართველობის, სომხების და ურიების ამოსაჟლეტათ. გუბერნატორი და კომენდანტი მცხოვრებლებს ამშვიდებენ. იარაღის ტარება აკრძალულია.

**კაზატინი.** დაიჭირეს სამი აგიტატორი, რომლებიც ცდილობდენ რკინის გზის მოსამსახურეებს გაფიცვაზე დაეთანხმებიათ.

**ბელოსტოკი.** გენერალ-გუბერნატორი სახლთან მდგომმა გოროდოვოიმ სროლა ასტეხა. სროლაზე უგლიცკის პოლკის აფიცერი მოვიდა. გოროდოვოიმ უთხრა: ურიები ისევ „ბუნტობენ“ და ისვრიანო. აფიცერი დარწმუნდა, რომ გოროდოვოი სტყუოდა და დაატუსაღებინა ის. ეს ფაქტი გენერალ-გუბერნატორს შეატყობინეს.

**პეტერბურგი.** „კურიერის“ რედაქტორ-გამომცემელს და თანამშრომელს იორდანსკის სამართალში აძლევენ. იმ კომისიამ, რომელსაც მთავრობის უკანონო მოქმედების გარჩევა აქვს მინდობილი, დაავალა დეპუტატ ხრისტოვსკის, შეეკითხოს სამხედრო მინისტრს იმ აფიცრების თაობაზე, რომლებიც „დუმის საწინააღმდეგო აგიტაციას ეწევიან“; დეპუტატ შოლპს—პოლონეთში საომარ დროის წესები შემოღების შესახებ; დეპუტატ იაკობსონს გლეხთა კავშირის დევნის შესახებ. კომისიამ უკანონოთ სცნო გზათა მინისტრისაგან რკინის გზის მოსამსახურეების დათხოვნა. კომისიამ გადასწყვიტა, საჩქაროთ შეეკითხოს სამინისტროს სიმბირსკში აგრარულ მოძრაობის ჩაქრობის დროს კაზაკების თავგასული მოქმედების შესახებ. პარლამენტალურმა აგრარულმა კომისიამ გადასწყვიტა პირველი ადგილი მისცეს შემდეგ კანონდებულების შემუშავებას: 1) მიწის რეფორმის უმთავრესი დებულება, 2) მიწათმოქმედების ადგილობრივი დაწესებულება; 3) არენდის მოწესრიგება; 4) სოფლის მუშის ინტერესების დასაცავი კანონდებულების შემუშავება. აგრარულმა „პოდკომისიამ“ მიწის სავალდებულო ჩამორთმევაზე მიიღო 12 კაცისაგან შემდგარი კომისიის პროექტი, გარდა ერთი პუნქტისა.—პარლამენტის კომისიამ დაამთავრა პიროვნების ხელუხლებლობის კანონპროექტი.

**პეტერბურგი** კადეტთა პარლამენტარულმა, ფრაქციამ დაამთავრა ბეჭდვითი სიტყვის კანონპროექტის გარჩევა; საბოლოო გადასინჯვა და შესწორება მიანდო დეპუტატ იოლოვს.-პარლამენტის საფინანსო კომისიამ დაადგინა გამოართვას ფინანსების სამინისტროს ბეჭდვითი საქმის ყველა მასალები ფინანსიურ საქმეების წარმოების შესასწავლათ.-მაჰმადიანების საპარლამენტო ფრაქციამ დაადგინა ნება დართოს პეტერბურგელ მაჰმადიანების 3 წარმომადგენელს დაესწრონ ფრაქციის სხდომებზე სათათბირო ხმის უფლებით და თავის ოფიციალურ ორგანოთ გაზ. „რეჩი“ გამოაცხადა. დღეს დასრულდა მებულკეების გაფიცვა. დაკმაყოფილებულ იქმნა მუშების ყველა მოთხოვნილება: სამუშაო დღის შემოკლება, ხელფასის მომატება, საჭმლის გაუმჯობესება და სავალდებულო სამუშაოზე მეტი მუშაობის მოსპობა. გაზ. „რუსკი ინვალიდი“ უარყოფს „გოლოს“-ში მოყვანილ ცნობას სემიონოვის პოლკის სალდათებში მღელვარების შესახებ. არავითარი მღელვარება არ ყოფილა. გაზ. „რუსკი ინვ“ სიტყვით, გაზეთების კითხვას არა თუ უკრძალვენ, პირიქით ნაბრძანებია უკითხონ და აუხსნან მათ ყველა ის სტატიები, რომლებიც პოლკს შეეხება.

---

რედ.-გამომცემელი **ნ. ახმეტელაშვილი**

სტამბა მსწრაფ-მბეჭდავი „ლამპარის“ სემენოვის № 4.